შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 24031

06/07/2015

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მატერიალური საშუალების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს სასაზღვრო პოლიციას სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ, ბალანსიდან ბალანსზე, სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული **ძალოვანი ტრანსფორმატორი „ტმგ-400/6-10“** საბალანსო ღირებულებით 17272 (ჩვიდმეტიათას ორასსამოცდათორმეტი) ლარი. ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 16926,56 (თექვსმეტიათასცხრაასოცდაექვსი ლარი და 56 თეთრი). სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველომ უზრუნველყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონების გადაცემა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების უფროსი თორნიკე ხელთუფლიშვილი.

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.

5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 26,06,2015 N 87310-210 წერილზე თანხმობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 24.06.2015 N105207/21 წერილი.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური